


პრესრელიზი



„პირველი ნაბიჯის“ მადლობის წერილი „ჯი-აი-ჯის“ „პირველ ნაბიჯში“ 11 მაისს აუტიზმის ახალი ცენტრის პრეზენტაცია ჩატარდა, სადაც ორგანიზაციამ სტუმრებს აუტიზმის, ქვევითი და ემოციური სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობის ახალი მეთოდი "DIR Floortime" გააცნო. პირველი ნაბიჯი უკვე წარმატებით ახორციელებს ქვევით თერაპიას, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების, სენსორული და კვების თერაპიებთან ერთად. ახალი ცენტრის გახსნა ერთობლივ ძალისხმევით და საქართველოს ინდუსტრიულ

ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. ახალი ლოკაცია შესაბამისი ინფრასტრუქტურით არის უზრუნველყოფილი. ახალი მეთოდისა და ცენტრის გახსნის ცერემონიის დასასრულს „პირველი ნაბიჯის“ ადმინისტრაციამ, მეგობარი კომპანიების წარმომადგენლებს, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს, გაწეული ქველმოქმედებისთვის სიმბოლურად „მადლობის სიგელები“ გადასცა.-----კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

